ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით (დოკუმენტის ნომერი 165-Iმს-XIმპ, ვებგვერდი 29/12/2024, სარეგისტრაციო კოდი 010320000.05.001.102434) საჯარო დაწესებულებაში საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის სამართლებრივი სტატუსი გარდაიქმნა და მიეკუთვნა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა კატეგორიას. შესაბამისად, სამართლებრივი სტატუსის ცვლილებამ განსხვავებულ სამართლებრივ რეგულაციაში მოაქცია საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე. (საკრებულოს აპარატის უფროსი და აპარატის უფროსის მოადგილე). აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხაში ასახული უნდა იყოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები და ამავე საშტატო ნუსხით განისაზღვროს მათი თანამდებობრივი სარგოც, ვინაიდან საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგო აისახება შესაბამისი საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ცვლილება არ ეხება თანამდებობრი სარგოს ოდენობას და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უნარჩუნდება სარგოს იგივე ოდენობა, რაც განსაზღვრულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბერის N19 დადგენილებით ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის №5 დადგენილებაში ცვლილების მიზანია დადგენილების კანონმდებლობათან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი: დადგენილების პროექტით ცვლილება შედის ,, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მარტის №5 დადგენილების სათაურსა და N2 დანართში .

ბ)დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო და საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება: დადგენილების პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით ფინანსურ ხარჯთან.